ხელშეკრულება № 140

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 03 სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავერსი - ფარმა" (აფთიაქი) (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მიერ მინდობილი პირის ლევან გაჩეჩილაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სუბსიდიის დაფინანსებით მცირეფასიანი ფარმაცევტული პროდუქტების (CPV:33600000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 264.29 (ორას სამოცდაოთხი ლარი და 29 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ღირებულებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამის გადასახადისა და მოსაკრებლებს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება ფორმდება და მისი გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასევე საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა), რომლის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში მიმწოდებლის მისამართზე (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #148ა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველის შეტყობინების საფუძველზე, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა
ს/კ 202887778
მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ.# 20
ტელ: 2 23 71 05

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „სახელმწიფო ხაზინა"
სახაზინო კოდი 32 02 05 02 08

დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „ავერსი - ფარმა"
ს/კ 211386695
მის.: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი # 148 ა
ტელ.: 2 99 79 70
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/n GE06BG0000000122932100 მინდობილი
პირი: ლევან გაჩეჩილაძე

(ხელმოწერა) ბ.ა
(მინდობილობის ინდივიდუალური N22905695129115
რეგისტრაციის N150952412)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

2015 წლის 03 სექტემბრის N140 ხელშეკრულებაზე

1. შესყიდვის ობიექტია:

	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება
1.	ალბუციდი-ლიქვო 20% 5მლ ფლ	1	1.6	1.6
2.	ბამბა სამედ.ჰიგრ.ქირურ.სტერ50გ	3	0.81	2.43
3.	ბეტადინი ხსნარი 10% 30მლ	1	7.99	7.99
4.	ბინტი 7მx14სმ არასტერილური	6	0.72	4.32
5.	ბინტი 7მx14სმ სტერილური	3	0.83	2.49
6.	ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ(თბ)	3	0.25	0.75
7.	დეპანტოლი 30გ კრემი	1	7.4	7.4
8.	დექსამეტაზონი 4მგ/1მლ #25ა	0.08	14.79	1.1832
9.	ეთანოლი სამედიცინო 100მლ	4	1.06	4.24
10.	ეფექტი C #10ტ შუშხუნა	2	4.68	9.36
11.	ეფექტი ჩაი 4.5გ #10პაკეტი	2	9.52	19.04
12.	ვალერიანი პიტნით #40ტ (ნეოფ)	3	1.02	3.06
13.	ვალერიანის ექსტრაქტი #50ტ(ბელ)	2	0.38	0.76
14.	ვაღიდოღი (მედილოღი)#10ტ(დარნ)	6	0.37	2.22
15.	ვალოკორდინი 20მლ #1ფლ	2	2.89	5.78
16.	ვალოსედი 25მლ ფლ (ნეოფ)	2	2.13	4.26
17.	ვიკასოლი 1% 1მლ #10ა (დარნიცა)	1	3.57	3.57
18.	ვიტ C 1000მგ #20ტ შ(ვიტაპრიმი)	1	7.06	7.06
19.	თერმომეტრი სამედ.(იმპ)	2	1.19	2.38
20.	იმოდიუმი 2მგ #20კაფს	1	9.28	9.28
21.	იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ (თბ)	3	0.42	1.26
22.	კბილის წვეთები 25მლ ფლ	3	2.13	6.39
23.	კეტამო 10მგ #10ტ	2	3.15	6.3
24.	კეტონალი დუო 150მგ #30კაფს	0.667	10.71	7.14036
25.	კოლხური მაღამო 25გ ტუბ	1	5.53	5.53
26.	კორდიამინი 25% 2მლ #10ა (თბ)	1	4	4
27.	კორვალოლი 25მლ #1ფლ (რუსეთი)	3	0.51	1.53
28.	კორსიზი #10ტ	10	1.28	12.8
29.	კოფეინი ნ/ბ 10% 1მლ #10ა(დარნ)	2	1.87	3.74
30.	ღეიკოპლ."მედპლასტი"#10	60	0.24	14.4
31.	ღეიკოპლ.2.5სმ3500სმ	2	1.15	2.3
32.	მაალოქსი 800მგ #40ტ	1	6.72	6.72
33.	მოლდი 100მგ #30კაფს	1	17.34	17.34

34.	ნატრიუმის ქლორ0.9% 5მლ #10ა(თბ	1	1.11	1.11
35.	ნო-შპა 40მგ #100ტ	1	8.42	8.42
36.	ნუროფენი 200მგ #24ტ	1	7.48	7.48
37.	ოქსოლინის 0.25% 10გ მალ(ნიუფ.)	2	0.94	1.88
38.	პარაცეტამოლი 0.5გ #10ტ(ნეოფ)	4	0.21	0.84
39.	პიტნის ნაყენი 25მლ ფლ(თბქიმფ)	4	0.55	2.2
40.	საფენი მარლ.სტერ.16სმ*14სმ#10	5	0.51	2.55
41.	სმექტა #1პაკეტი	4	0.38	1.52
42.	სტრეპსილსი #24ტ ლიმონით უშაქრო	1	8.97	8.97
43.	სტრეპსილსი #24ტ მენთოლ.ევკალიპ	1	6.89	6.89
44.	სუპრასტინი 25მგ #20ტ	0.25	4.68	1.17
45.	ტავეგილი 2მგ/2მლ #5ა	0.4	6.12	2.448
46.	ტაიქოლდი ყოლოთი #10პაკ GMP	1	8.08	8.08
47.	ტაიქოლდი ტყის კენკრა #10პაკ	1	8.08	8.08
48.	ფიტოსედი 25მლ ფლ	3	1.02	3.06
49.	შპადელი ხის სტერილური *	100	0.06	6
50.	შპრიცი ერთჯერადი 2მლ(იმპ)	5	0.09	0.45
51.	შპრიცი ერთჯერადი 5მლ რ/დ	5	0.1	0.5
52.	ციტრამონი #6ტ (დარნიცა)	7	0.26	1.82
53.	წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ ფლ	4	0.55	2.2

სულ: 264.29 ლარი

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა
ს/კ 202887778

დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს „ავერსი - ფარმა"
ს/კ 211386695
მის.: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი # 148 ა
მინდობილი პირი: ლევან გაჩეჩილაძე

_____
(ხელმოწერა)
(მინდობილობის ინდივიდუალური N22905695129115

რეგისტრაციის N150952412)